საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 იანვარი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/03

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2014 - 2015 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 19/ნ ბრძანების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესი, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2014 წლის 27 იანვრის № 04-01/03 დადგენილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლისთვის საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესი

თავი I. მისაღები კონტინგენტი

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში ხელოვნების უნივერსიტეტი) 2014-2015 სასწავლო წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვრა 185 ერთეულით.

2. მისაღები კონტინგენტი განაწილდა შემდეგნაირად:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე - 65 ადგილი, მათ შორის:

- არქიტექტურისა და დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შენობა-ნაგებობატა არქიტექტურა, ინტერიერი და დიზაინი) - 15 ადგილი;
- სახვითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამაზე (დაზგური ფერწერა) - 10 ადგილი;
- დიზაინის საგანმანათლენლო პროგრამაზე (სამოსის დიზაინი) – 10 ადგილი;
- აუდიოვიზუალური ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამაზე (კინორეჟი-სურა) - 10 ადგილი;
- საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საგანამანათლებლო პროგრამაზე (დრამისა და კინოს სამსახიობო) - 10 ადგილი;

საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საგანამანათლებლო პროგრამაზე (დრამისა და კინოს სამსახიობო) - 10 ადგილი. ქ. ფოთის მიზნობრივი ჯგუფი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტზე - 15 ადგილი, მათ შორის:

- სამუსიკო შემსრულებლობის (აკადემიური სიმღერა; ფორტეპიანო, საორკესტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე - 12 ადგილი;
- სამუსიკო ხელოვნების (მუსიკის თეორია, აკადემიური გუნდის დირიჟორობა) საგანმანათლებლო პროგრამაზე - 3 ადგილი.

გ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 105 ადგილი, მათ შორის:

- ხელოვნების თეორიისა და ისტორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) საგანმა-ნათლებლო პროგრამაზე - 15 ადგილი;
- ხელოვნების თეორიისა და ისტორიის (კინომცოდნეობა) საგანმანათლებლო პროგრამაზე - 15 ადგილი;
- კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 ადგილი;
- კულტურული ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 25 ადგილი;
- მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ტელერადიოჟუ-რნალისტიკა) - 25 ადგილი.

თავი II. ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის წესი

1. ხელოვნების უნივერსიტეტში მიიღებიან სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე მოქალაქეები.

2. ხელოვნების უნივერსიტეტში შესვლისას თანაბარი უფლებით სარგებლობს ყველა აბიტურიენტი.

3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე აბიტურიენტი გადის შესაბამის კონკურსს ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. კონკურსი ტარდება შემოქმედებითი ტურების სახით.

4. შემოქმედებითი ტურების ჩატარების ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.

5. პირველ ტურზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი არ დაიშვება მეორე ტურზე.

6. აბიტურიენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში თავის განაცხადში მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამა ფაკულტეტი, სადაც სწავლის გაგრძელება სურს, შემოქმედებითი ტური/ტურები უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა საშემსრულებლო სპეციალობაში.

7. ხელოვნების უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტურების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მრავლდება კოეფიციენტზე. მუსიკის ფაკულტეტის სპეციალობებში 60 ქულაზე დაბალი ნიშნავს ჩაჭრას, ხოლო სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე - 30 ქულაზე დაბალი შეფასება ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად.

8. ხელოვნების უნივერსიტეტში აბიტურიენტი არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით გადის შემდეგ ტურებს:

ა) არქიტექტურა და დიზაინის, სახვითი ხელოვნება და დიზაინის სპეციალობებზე აბიტურიენტებს ევალებათ შეასრულონ კომისიის მიერ შეთავაზებული ნახატი (რთული ნატურმორტი ფანქარში);

ბ) აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციალობაზე აბიტურიენტებს ევალებათ წერა კომისიის მიერ შემოთავაზებულ თემაზე;

გ) საშემსრულებლო შემოქმედებით ხელოვნების - სამსახიობო მონაცემების შემოწმება;

დ) მუსიკის ფაკულტეტის შესაბამის სპეციალობებზე შემსვლელი აბტურიენტები აბარებენ ტურს სავალდებულო პროგრამით და მუსიკის თეორიას.

ე) აბიტურიენტები, რომლებიც აბარებენ საშემსრულებლო მიმართულებით, პროგრამული დაფინანსების მისაღებად კონკურსში დაიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ

შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღებენ 81 და მეტ ქულას და ეროვნულ გამოცდებზე გადალახავენ მინიმალური კომპენტენციის ზღვარს.

ვ) აბიტურიენტი, რომელიც ირჩევს ფაკულტეტებს: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნება ან მუსიკა, უფლება აქვს ჩაბაროს თავისი სურვილით ნებისმიერი მეოთხე გამოცდა სახელმწიფო გრანტის მისაღებად.

9. აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი აბიტურიენტები აბარებენ შემოქმედებით ტურებს არჩეული სპეციალობის მიხედვით და კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო გამოცდას.

10. აბიტურიენტთა ნუსხა, რომელთაც მოიპოვეს ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება, ქვეყნდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული შემოქმედებითი ტურების შედეგების გათვალისწინებით.

თავი III. შემოქმედებითი ტურების ჩატარების წესი

1. შემოქმედებითი ტურების გავლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

2. აბიტურიენტი გამოცდებზე უნდა გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე. თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

3. გამოცდებზე აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა.

4. ხელოვნების უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტური/ტურების მიმდინარეობების სამეთვალყურეოდ გამოცდები გადაღებული იქნება ვიდეოფირზე, გარდა წერითი გამოცდის და ხატვაში ჩატარებული ტური/ტურებისა. ვიდეომასალა შეინახება მიმღებ კომისიაში და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მოთხოვნის მიხედვით.

5. ხელოვნების უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება 2014 წლის 02 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის ნებართვით, დასაშვებია განცხადების მიღება ტურის დაწყებამდე.

6. ხელოვნების უნივერსიტეტში შესარჩევი ტურები დაიწყება 17 ივნისიდან.

7. შემოქმედებით ტურებს შეიძლება დაესწრონ დამკვირვებლები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა, დანიშვნა და შემოქმედებით ტურებზე განაწილება ხდება რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით.

8. გამოცდების მიმდინარეობისას, ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულების შესაბამისად, დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირი იმ შემთხვევაში არ დაიშვება გამოცდაზე, თუ:

ა) ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული ჩასატარებელი გამოცდების შედეგებით;

ბ) პირი, რომლის ოჯახის წევრი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები) აბიტურიენტია;

გ) დამკვირვებელს ეკრძალება აბიტურიენტისათვის დახმარება ან ხელის შეშლა;

დ) თუ აღმოჩნდა, რომ დამკვირვებელი არ აკმაყოფილებს „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალსიწინებულ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია დაატოვებიოს მას გამოცდა.

9. შემოქმედებითი ტურების შედეგები ცხადდება (იკვრება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას) უნივერსიტეტში, შესაბამისი ტურის ჩატარებიდან 1 დღის (24 სთ.) ვადაში და გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

10. ტურების შედეგები სააპელაციო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს:

ა) შედეგების გამოცხადებიდან 1 (24 სთ.) დღის ვადაში;

ბ) განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი. განაცხადის შემოტანის უფლება აქვს აბიტურიენტს;

გ) სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუკი მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.

დ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 (48 სთ.) დღისა.

11. შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

12. ჩარიცხული აბიტურიენტი ვალდებულია წარმოადგინოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი ან მასთან გათანაბრებული განათლების დიპლომის დედანი და გამოცხადებულ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

13. ხელოვნების უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ უნივერსიტეტის კონკურსის შედეგების მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების კოეფიციენტების რანჟირების გაუთვალისწინებლად.

14. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხელოვნების უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ი[1] ქვეპუნქტის შესაბამისად.

თავი IV. შემოქმედებითი ტურების ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბუთების მიღებისა და გამოცდების ჩატარების ორგანიზების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება საუნივერსიტეტო მიმღები კომისია.

2. მიმღები კომისიის რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

3. შემოქმედებით ტურებზე აბიტურიენტთა შეფასებისათვის ყოველ საგანში იქმნება საგნობრივი კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

4. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია, რომელსაც აბიტურიენტი მიმართავს შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო ან გაუგებარი საკითხის გასარკვევად.

5. სააპელაციო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით.

თავი V. აბიტურიენტთა მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი საბუთები

ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი წერს განცხადებას რექტორის სახელზე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლით.

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ასლი რჩება ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში. მუსიკის ფაკულტეტზე, გარდა ატესტატისა, სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

გ) აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული საგამოცდო საიდენტიფიკაციო ბარათი.

დ) 4 ფოტოსურათი (ზომა 3×4).

ე) სამხედრო მოწმობას ან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ საბუთს ვაჟი აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.

ვ) აბიტურიენტებმა შემოქმედებითი ტურების საორგანიზაციო ხარჯებისათვის წარმოდგენილ საბუთებს უნდა დაურთონ სს „თიბისი ბანკში“ (ანგარიშის ნომერი: GE81 TB74 61036020100001) გადახდილი თანხის (20 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი.

სწორია: